პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №?

,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ***ადგენს:***

მუხლი 1. შეტანილ იქნას ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/12/2019; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.113.016402) და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. მერია შედგება 7 სტრუქტურული ერთეულის – სამსახურისა (ტექსტში შემდგომში – „სამსახური“) და 20 სტრუქტურული ერთეულის ქვედანაყოფის – განყოფილებისგან (ტექსტში შემდგომში – „განყოფილება“).“.

2. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. მერიის თანამდებობის პირების რაოდენობა (მერის ჩათვლით) არის 11.“.

3. მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. სამსახურებია:
ა) ადმინისტრაცია;
ბ) განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის;
გ) ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის და ტრანსპორტის;
დ) ეკონომიკური განვითარების;
ე) საფინანსო-საბიუჯეტო;
ვ) შიდა აუდიტის;
ზ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების.“.

4. მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან

საკრებულოს თავმჯდომარე: **დავით დარჩია**

განმარტებითი ბარათი
,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა) პროექტის შემუშავება განპირობებულია შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს კანონი ,,თავდაცვის კოდექსი“-ს 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე პირის აყვანას ახორციელებს სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც იქმნება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. აგრეთვე ამავე, კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებას, რომელსაც დღემდე ახორციელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური, 2024 წლის 1 იანვრიდან განახორციელებს სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

გამომდინარე აქედან, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები, ითვალისწინებს იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც საჭიროა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური გასაუქმებლად.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

პროექტის მიხედვით განისაზღრება მერიის ახალი სტრუქტურა.

2. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

გ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

3. პროექტის ავტორია:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

4. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2023 წლის ----------

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:

მერის პირველი მოადგილე - გიორგი ღურჯუმელიძე